ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/10
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 22 თებერვალი 2022 წ.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -"ხელშეკრულება") -"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 "მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები
წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთი მხრივ, ***სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი*** (შემდგომში "შემსყიდველი") იურ/ფაქტიური მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6
და მეორე მხრივ, ***შპს „ემქოლორი"*** (შემდგომში "მიმწოდებელი") მისამართი: ქ.თბილისი, გაბაშვილის #9.

3. ხელშეკრულების საგანი
3.1. შრესფ პროექტის (NFR-18 – 18474) „საქართველოს ველური ვაზი: შესწავლა და დაცვა" ფარგლებში, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ ,,სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი"-სთვის შეკვეთით ნაბეჭდი მასალის **(CPV კოდი: 22458000)** შესყიდვა. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტისა და "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრის და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვსიტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე.
3.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობა და ღირებულება მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

4. ხელშეკრულების ღირებულება
4.1. მოსაწოდებელი საქონლის ღირებულება შეადგენს **1270.00** (ათას ორას სამოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
5.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს შემსყიდველს მესამე მუხლით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, გაბაშვილის #9.
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი
6.1 მოწოდებულ საქონელზე გაფორმდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას უზრუნველყოფს შრესფ პროექტის (NFR-18 – 18474) ხელმძღვანელი დავით მაღრაძე.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, და მოწოდებული იქნება დროულად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.3.ტენდერის ფარგლებში შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორების გამოყენება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს სრული (100%) ოდენობით. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული, წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

9.4.პრეტენდენტი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტია წარმოადგენოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.5.წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საავანსო საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ.

9.6.საბანკო გარანტიაში მითითებული უნდა იყოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნების კონკრეტული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეს.

9.7. წინასწარ ავანსის სახით გადარიცხული თანხის დაქვითვა განხორციელდება დადასტურებული მიღებაჩაბარების აქტის საფუძველზე.

9.8. წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მის მიერ, შესაბამის თანხაზე საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

14.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10% - ის ოდენობით.

14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

15.3.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6. ამ მუხლის 15.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. ინტერესთა კონფლიქტი

17.1 შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, ასევე ვიზების დამდები პირები ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის თანახმად არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში აღნიშნულ მიმწოდებელთან

18. სხვა პირობები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულების მე-8 მუხლისა, რომლის მოქმედების ვადა იწურება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისას.

შემსყიდველი:

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“
ს/კ: 205309655
ბანკი -სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: TRESGE22
ანგარიში: GE24NB0330100200165022

ლევან უჯმაჯურიძე
დირექტორი

LEPL Scientific Research Center of Agriculture

Digitally signed by LEPL Scientific Research Center of Agriculture
Date: 2022.02.22 15:26:48 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „ემქოლორი“
ს/კ: 405433623
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ანგ#: GE20TB7989736080100010
ტელ: 593 35 75 44
ელ-ფოსტა: mcolourgroup@gmail.com

ლელა მენაბდე
დირექტორი

ვიზა: მ. ბუკია _____

ლ. წიტაიშვილი _____

გ. ხაზარაძე _____

შემსრულებელი: თ. ჯებაშვილი _____

დანართი №1

საქონლის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდ.	ერთეულის ფასი	საქონლის ფასი
აფიშა (პოსტერი), 70 x 100 სმ, ფერადი	ცალი	5	20.00	100.00
პოსტერი - კალენდარი, A3, ცალ გვერდზე ნაბეჭდი 2022-2023 წლისები 25-25 ცალი	ცალი	50	4.00	200.00
ბლოკნოტი ყდის ბრენდირებით	ცალი	100	6.00	600.00
ტრიპლეტი	ცალი	500	0.74	370.00
			სულ:	1270.00

შემსყიდველი:

სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“
ს/კ: 205309655
ბანკი -სახელმწიფო ხაზინა,
კოდი: TRESGE22
ანგარიში: GE24NB0330100200165022

ლევან უჯმაჯურიძე
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „ემქოლორი“
ს/კ: 405433623
ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი”
კოდი: TBCBGE22
ანგ#: GE20TB7989736080100010
ტელ: 593 35 75 44
ელ-ფოსტა: mcolourgroup@gmail.com

ლელა მენაბდე
დირექტორი